ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:**№62. 62241214**
თარიღი:**30/04/2024**

ქალაქ სამტრედიაში, გრიბოედოვის ქუჩაზე მდებარე 35695.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.48.859) პრივატიზების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54–ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ“–ქვეპუნქტის ,,დ.ა“–ქვეპუნქტის, ,,ე“–ქვეპუნქტის ,,ე.ე“–ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ მე-II თავის და სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 აპრილის №გ-63.6324117001 განკარგულების მიხედვით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.1. ქალაქ სამტრედიაში, გრიბოედოვის ქუჩაზე მდებარე 35695.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.48.859) პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით.

1.2. ელექტრონულ აუქციონზე ქალაქ სამტრედიაში, გრიბოედოვის ქუჩაზე მდებარე 35695.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.48.859) საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 536000 (ხუთასოცდათექვსმეტი ათასი) ლარი.

1.3. ელექტრონულ აუქციონზე ქალაქ სამტრედიაში, გრიბოედოვის ქუჩაზე მდებარე 35695.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.48.859) ბიჯი განისაზღვროს 10000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით.

1.4. ელექტრონულ აუქციონზე ქალაქ სამტრედიაში, გრიბოედოვის ქუჩაზე მდებარე 35695.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.48.859) საგარანტიო თანხა განისაზღვროს 100000 (ასი ათასი) ლარის ოდენობით.

1.5. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

2. თუ ელექტრონული აუქციონი არ შედგა იმ მიზეზით, რომ ელექტრონულ აუქციონში რეგისტრირებული პირები, რომლებმაც გადაიხადეს ბე ან წარადგინეს/გააქტიურეს

(ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, არ მიიღებენ მონაწილეობას ვაჭრობაში, ელექტრონული აუქციონის მონაწილეების მიერ გადახდილი ბე ან წარდგენილი/გააქტიურებული (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია სრულად ჩაირიცხება სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

დავით ბახტაძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი